არჩევნებისათვის მზადება დიდი და პასუხსაგები პოლიტიკური კამპანიაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიურმა აქტივმა პირველი ნაბიჯებიდანვე მას საქმიანი ტონი უნდა მისცეს, ფართოდ გაშალონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა — პარტიული სიტყვა მიიტანონ თითოეულ ამომრჩევლამდე.

ლექციებსა და საუბრებში მკაფიოდ და დამაჯერებლად უნდა განვმარტოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ჩვენი

ვ. ი. ლენინი სოციალისტური დემოკრატიის შესახებ.

სკკპ XXV ყრილობა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონია.

სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის ჩვენი პარტიის უმაღლესი კანონია.

საბჭოთა დეპუტატთა საბჭოები სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძველია.

სამშობლოს ისტორიული მიღწევები, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შინაარსი, სოციალისტური დემოკრატიის დიადი უპირატესობანი, პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული ამოცანები.

ლექტორების, მომხსენებლების, პოლიტინფორმატორებისა და აგიტატორების დასახმარებლად ვაქვეყნებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული გამოსვლების სანიმუშო თემატიკას.

სსრ კავშირი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოა.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კანონზომიერი ეტაპია კომუნიზმის გზაზე.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკი მკაფიოდ გამოხატავს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა.

საბჭოთა საარჩევნო სისტემა.

კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

დეპუტატი ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენელია.

ამომრჩეველთა განაწესების შესრულება საბჭოებისა და დეპუტატების მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია.

საბჭოთა მოქალაქეების დიადი უფლებები და თავისუფლებები.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დროშა სოციალიზმის დროშაა.

საბჭოთა ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობის ერთიანობა.

შრომითი კოლექტივების როლი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებაში.

სოციალისტური კანონიერება სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის საფუძველია.

სოციალისტური დემოკრატიის ძირეული უპირატესობანი ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე.

ბურჟუაზიული საარჩევნო სისტემის მანკი და პირფერობა.

კაპიტალიზმი უმომავლო საზოგადოებაა.

საბჭოთა ხალხი გამარჯვებული ხალხი, შემოქმედი ხალხია!

საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი.

მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის ურღვევი კავშირი სსრ კავშირის სოციალური საფუძველია.

მუშათა კლასის წამყვანი როლი კომუნიზმის მშენებლობაში.

კოლმეურნე გლეხობა კომუნიზმის აქტიური მშენებელია.

საბჭოთა ინტელიგენციის წვლილი კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა პროფკავშირები ჩვენი საზოგადოების გავლენიანი ძალაა.

ლენინური კომკავშირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი თანაშემწე და საიმედო რეზერვია.

საბჭოთა ქალები კომუნიზმის აქტიური მშენებლები არიან.

სსრ კავშირის მოქალაქეობა დიდი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება.

საბჭოთა ხალხების თანასწორობა, ძმობა და ურღვევი ერთიანობა.

საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო წარმატებანი.

საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი გამარჯვებები.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები.

სახელმწიფო ძალიერია მასებს შეგნებით.

თითოეულ საბჭოთა ადამიანს — იდეური რწმენა, აქტიური, ცხოვრებისეული პოზიცია.

ჩვენი ცხოვრების წესი.

კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგია თანამედროვე ეტაპზე.

სოციალისტური საკუთრება სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველია.

საბჭოთა ხუთწლედების გამარჯვების ესტაფეტა.

ყამირის ათვისება პარტიისა და ხალხის დიდი გამარჯვებაა.

ჩვენი წვლილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მსოფლიო რევოლუციური პროცესი.

სსრ კავშირის ბრძოლა მშვიდობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

სოციალისტური [illegible] ერთიანობისა და შეკავშირებ[illegible] ერთიანობა.

სსრ კავშირის გმირული შეიარაღებული ძალები სოციალ[illegible] [illegible] [illegible].

სოციალისტური [illegible] თითოეული საბჭოთა ადამიანის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა.

სოციალისტურ შეჯიბრებას, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას — ახალი გაჭანდა!

განვამტკიცოთ დისციპლინა, ავამაღლოთ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა კოლექტივის საქმეებისათვის.

უწამორჩენილებოდ მუშაობა ჩვენი პატრიოტული ვალია.

ეფექტიანობა და ხარისხი — ყოველ ხამუშაო ადგილზე.

წარმოების ყველა რეზერვი ხუთწლედის ხამსახურში ჩავაყენოთ.

სათანადო წესრიგი დავამყაროთ იქ, სადაც იგი ჯერ კიდევ ირღვევა.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა.

გავშალოთ მოძრაობა მაღალი კულტურისა და სანიმუშო წესრიგისათვის.

რიტმული, ჩავარდნების გარეშე მუშაობა თითოეული კოლექტივის, თითოეული მშრომელის ამოცანაა.

გავაჩაღოთ ბრძოლა ლითონის, საამბობის, ელექტროენერგიის, ყველა მატერიალური რესურსის უმაკცრესი მომჭირნეობისათვის.

სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი.

ჩინებულად მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის.

ბუნების დაცვა თითოეულის საქმეა.

ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალი კულტურისათვის.

სახალხო მოხმარების საქონელს — მაღალი ხარისხი.

გადავაქციოთ 1979 წელი დამკვრელური შრომის წლად!

პირადი ხუთწლიანი დავალებანი შეავსრულოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისათვის.

ხუთწლედის გვარელილა გამოცდილება — ყველას.

მთელი ძალები მოვახმაროთ მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებას!

აღვნიშნოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ახალი მიღწევებით შრომასა და სწავლაში.

ახალი მიღწევებისათვის — კომუნიზმისათვის! (საქინფორმი).

საქართველო ცხოვრება

საქალაქო ყოველდღიური ესერიდან

25 დეკემბერი

ფეთქვულება და არა „მარტოხელა მკვლელი“

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის გამომძიებლებმა დასაბუთებულად ცნეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კენედი დაღუპა შეთქმულების შედეგად და არა მარტოხელა მკვლელის ხელით.

წარმომადგენელთა პალატის მკვლელობათა გამომძიებელმა სპეციალურმა კომისიამ სასწრაფო სხდომაზე დაადგინა განაგრძოს მუშაობა და მოაწყოს ახალი მოსმენა შემოსული მონაცემების ანალიზისათვის. კომისიის უურადღების ცენტრშია აკუსტიკური ექსპერტიზის შედეგები, რომელმაც დაადასტურა, რომ 1963 წლის 22 ნოემბრს დალასში პრეზიდენტის ავტომობილს ოთხჯერ ესროლეს.

ბოსტონის ფირმა „ბოლტ, ბერანეკ ენდ ნიუმენის“ მიერ ჩატარებული აკუსტიკური ანალიზის შედეგებმა, არსებითად, დადასტურა ის, რის ეშვიც დიდი ხანია ჰქონდა ქვეყნის საზოგადოებრიობას. სპეციალისტებმა შეისწავლეს დალასის პოლიციის სამმართველოს მაგნიტოფონის ფირი, რომელზეც ჩაწერილი აღმოჩნდა მკვლელობის ბგერითი ფონი. მათ გამოიყენეს ურთულესი მათემატიკური მეთოდები და ელექტრონული მოწყობილობა, რის შედეგად გამოარკვიეს, რომ იყო მეოთხე გასროლა არა წიგნსაცავიდან, არამედ ბორცვიდან, რომელიც პრეზიდენტის კორტეჟის წინ მდებარეობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯ. კენედის მკვლელობას ეხროლეს ორი მხრიდან სულ ცოტა ორმა კაცმა.

როგორც კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, ავტორიტეტული ექსპერტების დასკვნები, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ადასტურებენ გამომძიებლებს გადასინჯონ უწინდელი დასკვნები. „ახალი მონაცემების უგულებელყოფა შეუძლებელია“, — ხაზი გაუსვა კომისიის წევრმა კონგრესმენმა გ. სიეირმა. (საკდესის კორ.).

პარტიის ლიდერი — მძარცველი

რომი. საპყრობილეში აღმოჩნდა ნეოფაშისტური პარტია — ეროვნული მემარჯვენე ძალების სოციალური მოძრაობის ერთ-ერთი მოთავე ფ. ჯომო. პოლიციამ იგი დააპატიმრა ფერარის პროვინციის ერთ-ერთი ბანკის შეიარაღებულ ძარცვაში მონაწილეობის გამო. გაჩხრეკის დროს დამნაშავეს ბინაში იარაღი უპოვეს.

„საფრთხეს უქმნის საფრანგეთის დამოუკიდებლობას“

პარიზი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მთელი რიგი გაზეთებისათვის მიცემულ ინტერვიუში მ. დებრემ, საფრანგეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ეროვნული კრების დეპუტატმა დეგოლელთა პარტიისაგან, გაიელვარა იმის წინააღმდეგ, რომ ევროპის პარლამენტს მიენიჭოს ზეეროვნული რწმენებანი. მისი აზრით, ეს ეწინააღმდეგება სამართლის მოქმედ ნორმებს. მ. დებრემ აღნიშნა, რომ ევროპის ეკონომიური გაერთიანების ფარგლებში ხელისუფლების ზეეროვნული ორგანოების შექმნა „საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების, კერძოდ საფრანგეთის დამოუკიდებლობას“

ყოფილმა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა გასაკვირებით ხაზი გაუსვა იმას, იუწყება ფრანს პრესის საგენტო, რომ ევროპის პარლამენტის საყოველთაო არჩევნების მოწყობა „ბოლოს მოუღებს საფრანგეთის დამოუკიდებელ თავდაცვითს პოლიტიკას“.

შეიარაღებულ კროვოკაციებს მიმართავენ

ლუსაკა. (საკდესი). ახალი შეიარაღებული პროვოკაცია მოაწყვეს როდეზიელმა რასისტებმა ზამბიის რესპუბლიკის წინააღმდეგ. სოლსბერის რეჟიმის ავიაციამ დაბომბა რესპუბლიკის თავდაცვის ეროვნული ძალების ბანაკი, რომელიც ცენტრალურ პროვინციაში მდებარეობს. ეს ნათქვამია რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში.

ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ თავიანთ აგრესიულ აქციებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები და კონტრრევოლუციური დაჯგუფების უნიტას წევრი ავაზაკები ნატოს აგრესიული ბლოკის წევრ ქვეყნებში დამზადებულ იარაღს იყენებენ. ხშირად ამ იარაღს აქვს დამღა — „დამზადებულია ჩინეთში“.

სურათზე: ნაალაფევი იარაღი, რომელიც ანგოლის შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა იგდეს ხელთ.

კონგრესმენები და იურისტები გმოგენ

ვაშინგტონი, 25 დეკემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ამერიკელ კონგრესმენთა და იურისტთა ჯგუფის მოხსენება. ისინი გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო ხელისუფალთა პოლიტიკას, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში თავშეფარების უფლებაზე უარს იუბნებიან ათასობით ჰაიტელს, რომლებიც ცდილობენ თავი დაიღწიონ დიქტატორ დიუვალიეს რეჟიმის მიერ დევნას.

როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურმა თავშესაფარი არ მისცა 9 ათასი ჰაიტელ ლტოლვილიდან არც ერთს, და ისინი მაშინვე დაიბარეს უკან ამერიკის შეერთებული შტატებიდან. დიუვალიეს სისტემიანი დიქტატურის მსხვერპლნი ამის შედეგად კვლავ ჰაიტის საიდუმლო პოლიციას ჩაუვარდნენ ხელში.

პარტიზანები უტევენ

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიზანები რამდენჯერმე დაესხნენ თავს დიქტატორ სომოსას ეროვნული გვარდიის პოზიციებს ნიკარაგუის სამხრეთ ნაწილში. პარტიზანებმა ხელში ჩაიგდეს ქალაქი სანტა ტერესა და რამდენიმე საათის განმავლობაში იყვნენ იქ, სანამ ამ რაიონში ეროვნული გვარდიის მრავალრიცხოვან ძალებს გადმოისროდნენ.

უნესრიგობა ყარამანმარასში

ანკარა, 25 დეკემბერი. (საკდესი). წუხელ თურქეთის არმიის ნაწილები შეიყვანეს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ყარამანმარასში, რათა აღიკვეთოთ უწესრიგობა, რომელიც იქ მთელ დღეს გრძელდებოდა. არეულობა დაიწყო პარასკევს, როცა მეშარკვენე არამზადები თავს დაესხნენ მათ მიერ წინა დღით მოკლული ორი დემოკრატი მასწავლებლის დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესიას. როგორც თურქეთის რადიო იუწყება, ყარამანმარასში გუშინ 21 კაცი დაიღუპა, 150-ზე მეტი დაიჭრა, დაიწვა და ხანძრებით დაზიანდა 150-მდე შენობა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბ. ეკევითმა ქალაქის მცხოვრებთ ითხოვა აღკვეთონ პროვოკაციები და არ დაუშვან კონფლიქტის გამწვავება.

ირანის ამბები

დემონსტრაციები, ძალადობა, სისხლისღვრა...

პარიზი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ათობით დახოცილი — ასეთია ირანის აღმოსავლეთის ქალაქ მეშხედში ჯარების მიერ დემონსტრაციათა ჩახშობის შედეგი, იუწყება ფრანს პრესის საგენტო თეირანელი კორესპონდენტი. ქალაქში სიცოცხლე ჩაკვდა იმის შედეგად, რომ ოფიციალურ ხელისუფალთა მიერ მოსახლეობის მიმართ ძალადობის აქტების საწინააღმდეგოდ საყოველთაო გაფიცვა გამოცხადებული. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ირანის არმიის გენერლების ნაწილი კვლავინდებურად მოითხოვს დემონსტრაციების წინააღმდეგ ბრძოლაში განგაშრძონ „მკაცრი“ ხაზი და, თუ საჭირო გახდა, არ მოერიდონ სროლას. გუშინ მეშხედის ქუჩებში ჩაიარა პოლიციის თვითნებობის მსხვერპლთა ხსოვნის მასობრივმა სამგლოვიარო პროცესიამ. ანალოგიური მანიფესტაციაა დანიშნული ხვალისათვის. როგორც თეირანიდან იუწყებიან, იქ მომხდარ შეტაკებათა დროს ასევე დაიღუპა რამდენიმე კაცი. ირანის დედაქალაქში, აღნიშნავს კორესპონდენტი, რეჟიმი სტუდენტობის მზარდ ოპოზიციას აწყდება. მოდის ცნობები, რომ დღეს დილით თეირანში სტუდენტთა ახალი მანიფესტაციები მოეწყო. ასობით მოსწავლე ანტიამერიკული ლოზუნგების ძახილით მივიდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან. პოლიციამ სროლითა და ცრემლსადენი გაზით გარეკა დემონსტრაცია.

მოსწავლეთა გამოსვლების გაქანებით შეფოთებული სამხედრო ხელისუფალნი იძულებული გახდნენ გაეუქმებინათ თავიანთი პირველი გადაწყვეტილება სკოლებსა და კოლეჯებში მეცადინეობის განახლების შესახებ. დღეს სასწავლებლები არ მუშაობენ პოლიციასთან და ჯარებთან დემონსტრანტთა შეტაკების კვალი იტყობა ამერიკის თეირანის საელჩოს, დაზიანებულია ისრაელის ავიაკომპანია „ელ-ალის“ შენობა. სტუდენტთა გუშინდელი დემონსტრაციების გარეკვის დროს 15 კაცი დაიღუპა, ბევრი დაიჭრა. როგორც ირანს პრესის საგენტო წერს, ირანში კვლავ „კრიზისული სიტუაციაა“.

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ირანის პარლამენტში ძლიერდება გენერალ აზჰარის სამხედრო მთავრობის ანტიკონსტიტუციური მოქმედების კრიტიკა, მოითხოვენ მის გადადგომას. ამერიკის საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, რომ დედაქალაქში ხმა დაირხა: აზჰარი „შეუძლოდ არისო“. ქვედა პალატის — მეჯლისის დეპუტატები, რომლებიც ზამთრის არდადეგებზე იყვნენ დათხოვილ 27 დეკემბერს შეიკრიბებიან, რათა საგანგებოდ განიხილონ ქვეყანაში შექმნილი გეთიერება.

ირანში ჩამოსულმა ამერიკელთა მისიამ შეიმუშავა ვარიანტ, რომელმაც, მისი აზრით, უნდ გამონახოს „გამოსავალი“ ახლა ნდელი კრიზისული სიტუაციდან. ეს გეგმა, კერძოდ, ითვალისწინებს მაჰის დროებით გაგზავრებას საზღვარგარეთ ან სრულთის ყურის რომელიმე კუძულზე. შაჰის ფუნქციები უნ გადასცეს საკონსულტაციო ს ქმის, რომლის შემადგენლობ შეიყვანენ პირველ შაჰის რეგ მენდაციით. აღმასრულებელ ხელისუფლება გადაეცემა კოლეგიურ „სამოქალაქო“ მთავრობას. ასეთი მთავრობის მეთ ურის პოსტზე დანიშვნას უპირ ბენ „ზომიერ“ მოღვაწეს გოლ სადგიის. ასეთია კრიზისის „გ წესრიგების“ ამერიკული გეგ რომლის შესახებაც იუწყებ თეირანიდან პოლიტიკური მ ვალეურეენ. შექმნილ ვითარ ში ახლანდელი რეჟიმის მო ნაღმდეგენი მოითხოვენ, რ შაჰმა საერთოდ დატოვოს ტ ტი. ეს მოთხოვნა აშკარად მოაყენა დედაქალაქში გამ თელ მასობრივ მიტინგზე გა სვლისას ოპოზიციური ეროვ ლი ფრონტის ლიდერმა კ. ჯაბიმ. როგორც ასოშიეიტ პრესის საგენტოს კორესპონ ტი იუწყება, მან ხაზგასმით ნიშნა, რომ ირანელ ხალხს მო წევს „ბრძოლა თავისუფლ სათვის და კოლონიალიზმის წ ნააღმდეგ“.

ამერიკის პრესა აღნიშნ რომ ოპოზიციური ძალები გ გრძობენ აქტიურ მუშაობას მიაში. მათ ი[illegible] აქვთ, რ ვადიბირებენ [illegible]ალიარ[illegible]ულ ლებს შაჰის არყოფნის პირ ბში, ვინაიდან არმიის პირად მადგენლობის ფიცი არ მი საკონსულტაციო საბჭოსათ რომლის შექმნასაც ახლა ამ ბენ.

პარიზი, 25 დეკემბერი. (საკდესი). შრომის საყოველთაო კონფედერაციამ ორ[illegible] [illegible] [illegible] [

თეატრი

მოსკოვური
გასტროლების ეპო

ალიარება

თავისი არსებობის ორმოცდამეათე წლისთავს ზეიმობს თბილისის (მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ამ ხნის მანძილზე მან ქართული ხასიათი ხელოვნების განვითარების, მოზარდთა, სულიერი აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში, სწორედ ამის შესახებ და თეატრის მიერ განვლილ ნაბეკარსაუკუნოვან გზაზე იყო საუბარი მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დაარსების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, რომელიც გუშინ, 25 დეკემბერს გაიმართა თბილისში.

იუბილარი — თეატრისათვის დიდი გამოცდა იყო პირველი გასტროლები ამ შემოდგომაზე ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. ცენტრალური პრესა, რადიო და ტელევიზია ფართოდ გამოეხმაურნენ გასტროლებს.

მოსკოველთა წინაშე წარდგა უაღრესად სერიოზული, გამოკვეთილი პოზიციისა და ნატიფი ხელწერის დასი, რომელიც არა მარტო აღძრავს საფდეისოდ მნიშვნელოვან, ზნეობრივ პრობლემებს, არამედ პოულობს, კიდეც მისთვის თანადროულ და მეტყველ სცენურ ფორმას.

თეატრის შემოქმედებითი ტენდენციები, (ცხადია, გამოიხატა მის საგასტროლო რეპერტუარშიც: დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“, ბ. ბრეხტის (ფოიხტვანგერთან თანამშრომლობით) „ომონა მაშარის სიზმრები“, პ. ტრეგერსის „მერი პოპინსი“, ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ ვ. დარასელის „დღვანია № 16“, ა. ტოლსტოის „ბუერატინო“. ამათგან, ჩვენის აზრით, ბელი პიესის გმირები. ყველა სცენა თითქოსდა ფერწერული ტილოა — იმდენად მეტყველია თვით უმნიშვნელო დეტალებიც ეს, იმდენად მდიდარია მსახიობების პლასტიკა“ (ეურნალი „ოგონიოკი“).

„საგასტროლო სპექტაკლებს შორის განსაკუთრებით სრულყოფილად გამოიყურება „ქამუშაძის გაჭირვება“. აქ შენარჩუნებულია სოციალური პლასტი. ზუსტი და ამავე დროს ძუნწია ყოფითი დეტალები, უაღრესად კოლორიტული და ტიპაჟი. თეატრალობა ამოიზრდება ყოველდღიურობიდან, იგი სცენურად ხორცშესხმული, გამომსახველი და მიზეირია. სპექტაკლი გამორჩეულია თავისი პლასტიკით, იგი თითქოსდა მოცეკვეობთად ფერწერულია. რეჟისორი შ. გაწერელია ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველაფრისგან შეუძლია შექმნას თეატრი“ (გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა“).

„ქამუშაძის გაჭირვება“ თეატრის ყველაზე აქტიორული და ამავე დროს ყველაზე რეჟისორული სპექტაკლია. ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება, სცენური ენა ლეტრის საშუალებათა სიძუნწეს ზედმიწევნით ეცადაგება ფერადოვანი კოლორიტთ, გინდაც გროტესკით დახასიათებული ბიესის გმირები. ყველა სცენა თითქოსდა ფერწერული ტილოა — იმდენად მეტყველია თვით უმნიშვნელო დეტალებიც ეს, იმდენად მდიდარია მსახიობების პლასტიკა“ (ეურნალი „ოგონიოკი“).

„საგასტროლო სპექტაკლებს შორის განსაკუთრებით სრულყოფილად გამოიყურება „ქამუშაძის გაჭირვება“. აქ შენარჩუნებულია სოციალური პლასტი. ზუსტი და ამავე დროს ძუნწია ყოფითი დეტალები, უაღრესად კოლორიტული

მაყურებლის ასაზრდო, „ქალაქი გადატანილია პერსონაჟთა ურთიერთობაზე. სპექტაკლს ნათლად მოაქვს ის აზრი, რომ ადამიანები გასაჭირს თავს ვერასოდეს დააღწევენ, თუ უნდობლობისა და მტრობის ატმოსფეროში იცხოვრებენ.

რაც შეეხება „სიმონა მაშარის სიზმრებს“, იგი ახლახან შეექმნა და, ბუნებრივია, თეატრისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მაყურებელთა და სპეციალისტთა აბრი მის შესახებ. ვფიქრობთ, ბრეხტთან შეჭიდება თავისთავად საყურადღებო მოვლენაა, მით უფრო, რომ თანამედროვე ქართულ სცენაზე, სადაც ამჟამად იგრძნობა „ეპიკური თეატრის“ ესთეტიკის ზეგავლენა, უშუალოდ ბრეხტის პიესა რუსთაველის თეატრია გარდა ჯერ არსად არ დადგმულა. სპექტაკლმა ცხადყო, რომ თეატრი მზად იყო მასთან შესახვედრად და რთული პარტიტურის დასაძლევად საკუთარ გზასაც მიაგნო.

აი, რას წერს ამ სპექტაკლის გამო გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“: „შ. გაწერელიამ „სიმონა მაშარის სიზმრების“ დადგმით გადადგა გაბედული ნაბიჯი. სპექტაკლის მუსიკა, პლასტიკა ჩაყენებულია ეროი იდეის სამსახურში, ხოლო იდეა ამაღლებული და უბრალოა — როცა ქვეყანას უჭირს, აღარ არსებობენ პატარა ადამიანები, ყველას შეუძლია გახდეს გმირი“...

„სიმონა მაშარის სიზმრები“, ისევე როგორც „ქამუშაძის გაჭირვება“, ნათლად აკუნეს თეატრის მისწრაფებას აქტიური აზროვნებისა და ახლის ძიებისადმი, ამავე ტენდენციით არის აღბეჭდილი ნ. ხატისაკის მიერ დადგმული მიუზიკლი „მერი პოპინსი“. სპექტაკლი მრავალ ასპექტით არის მნიშვნელოვანი. ჯერ

ერთი, იგი ქართულ დრამატულ თეატრში მიუზიკლის დადგმის ერთ-ერთი პირველი შედეგიანი ცდაა. და მეორეც, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ეროვნული მსახიობის საჭიროება ჩვენი ეროვნული სასცენო ხელოვნებისათვის. სპექტაკლმა მსახიობებს საშუალება მისცა გაემდიდრებინათ გამომსახველობითი პალიტრა და დრამატულ დიალოგთან ერთად სცენური მოქმედება წარემართათ პლასტიკისა და ეკალის მეშვეობითაც.

„ჯეშმარიტი ბრიტანელი გადიის“ გაკვეთილები მოსკოველებმაც ჯეროვნად დააფასეს. „სოვეტსკაია კულტურა“ აღნიშნავს: „ნ. ხატისკაცის მიერ დადგმული მხიარული მიუზიკლი „მერი პოპინსი“ მართლაც და აჯადოებს მაყურებელთა დარბაზს. ამ თავბრუდამხვევ სპექტაკლში, რომელიც აღსავსეა მსუბუქი რიტმებით და დამშვენებულია ი. ზარეკაის ჩინებული ქორეოგრაფიით, ხედავსხვა თაობის მსახიობები წარმოგვიდგებიან მთელი თავისა „მუსიკალური“ და პლასტიკური შესაძლებლობებით“.

გასტროლებზე აგრეთვე დადებითი შეფასება დაიმსახურა თეატრის ბოლო პრემიერამ „მე ვხედავ მზეს“ (რეჟისორი — შ. გაწერელია) და თეატრის ამჟამინდელი რეპერტუარის ვეტერანმა „დღვანია № 16“ (კაკვიძე). რეჟისორ ო. ჩხეიძის მიერ დადგმული ეს სპექტაკლი დღესაც თეატრის მთავარი გეზის თანხმობილ (ალბათ ამიტომაც შემორჩა რეპერტუარს).

სპექტაკლების ანალიზისას პრესამ საგანგებო ყურადღება დაუთმო აქტიორულ მიღწევებს. მაღალი შეფასება მიეცა რ. თავართქილაძის, ლ. ჯაყელის, ვ. მექვაბიშვილის, ბ. ხაფავის, ნ. ცერცვაძის, ო. ბაღათურიას, ვ. მახათაძის

მ. ბოცვაძის, გ. ძნელაძის, ჭ. ბაბაშვილის, ნ. პაატაშვილის და სხვა მსახიობთა მიერ შექმნილ სცენურ სახეებს. თეატრმა, დიტოკა თანმოაზრეთა ანსამბლური კოლექტივის მთამბეჭდილება, როცა სპექტაკლის ყოველი მონაწილე ექვემეიბარება საერთო რეჟისორულ ჩანაფიქრს და როლის ეარგ შესრულებად ითვლება სპექტაკლში საკუთარი ფუნქციის ღრმა შეგნება. ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ რეჟისორი შ. გაწერელია თეატრში ნერგავს სამსახიობო უნივერსალიზმის პრინციპებს, სადაც ერთმანეთს ეხმიბა და ავსებს ფსიქოლოგიზმი და გროტესკი, დუმილის ზონა და პუბლიცისტური პასაჟი, გარდასახვა და გაუცხოება. გაზეთ „პრავდაში“ კეთხულობთ: „თავისი საუკეთესო სპექტაკლებით თეატრი გვიჩვენებს რეჟისორული აზროვნების თანამედროვე დონეს, მსახიობთა ოსტატობას (უჭნარეს კი, ახალგაზრდა შემრულებელთა დიდ შესაძლებლობებს, რითაც, სამწუხაროდ, დღეს ბევრი მოზარდთა თეატრი ვერ მოიწონებს თავს)“.

რა უნდა უსურვოთ საიუბილეო დღეებში ჩვენს საყვარელ თეატრს? გვინდა ვიხილოთ მოზარდთა სცენაზე თეატრის ამჟამინდელი საუკეთესო დადგმების ტოლფასოვანი, ჩვენი დღეების ამსახველი სპექტაკლები. მიუხედავად თეატრის აქტიორული ძალების გამოჩენისა, ეუსურვებოდით უფრო მეტად გაბრიელოყოს მკაფიო იდეიდეულობის მქონე მსახიობთა რიცხვი... დაე არ ჩამქრალიყოს თეატრის მაძიებლური სული, არ დაშრეტილიყოს საკუთარი ძალების რწმენა.

ვ. ქართველიშვილი,
მ. გეგია,
თეატრმცოდნეები.

საქართველოს სამეფოლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტებს მოაგონებს, რომ 1978-79 სასწავლო წელს ლაბორატორიული საგამოცდო სესიები ჩატარდება შემდეგი განრიგით:

I. სპეციალობები **აგრონომია, აგრომელიორაცია, მეხილეობა-მებოსტნეობა** და **მევენახეობა,** ს/ მ მექანიზაცია I-II-III-IV-V კურსებზე 1979 წლის **3 იანვრიდან:** II. სპეციალობა **ხატვა მეურნეობა** I-II-III-IV-V კურსებზე **19 თებერვლიდან.**

III. სპეციალობები: ა) **სოფლის მეურნეობის ეკონომიკა** და **ორგანიზაცია** I-II-III-IV კურსებზე **12 მარტიდან,** ხოლო V კურსზე **17 იანვრიდან,** ბ) **ბუხალტრული აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში** I-II-III კურსებზე **12 მარტიდან,** IV კურსზე **17 იანვრიდან,** ხოლო V კურსზე **22 იანვრიდან.**

საკონტროლო და **საკურსო** შრომების სარეცენზიოდ მიღება წყდება **სამი კვირით ადრე** სესიის დაწყებამდე.

სავნებში, რომლებშიც წარმმართველ სესიაზე დასრულდა საუდიტორიო მეცადინეობები, **გამოცდები** და **ჩათვლები** შეწყდება სესიის დაწყების წინ. **გამოძახება** ხელფასის **შენარჩუნებით** შვებულების **მისაღებად** ეძლევათ სტუდენტებს, **რომელთაც** სესიამდე სულ ცოტა **ერთი კვირით ადრე ჩათვლეს ყველა საკონტროლო შრომა** და **გადასცეს სარეცენზიოდ საკურსო შრომები.**

გამოძახების ფურცელს სტუდენტები ილებენ **დაუსწრებელი** სწავლების **ფაკულტეტის** დეკანატში **სესიის** დაწყებამდე, ამისათვის თან **უნდა** იქონიონ: ა) შრომის წიგნაკის ასლი (კოლმეურნეებმა — შემცველი სბუთი) დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, ბ) **დახასიათება,** გ) ცნობა, **რომელშიც** (თუ **სტუდენტს** არა აქვს **მუდმივი** ხელფასი) **აღინიშნება** სტუდენტის მიერ **უკანასკნელი** 12 **თვის** გამომუშავება **თვეების** მიხედვით, **და** მეითითება **საშუალო** მუშის **გამომუშავება, კოლმეურნეთათვის** — **შრომის საკალდებულო** მინიმუმი.

სესიაში **მონაწილეობა შეუძლიათ** **სტუდენტებს,** **რომელთაც** სესიის **დასაწყისისთვის** ეარ **ჩათვალეს** **საკონტროლო (საკურსო)** **შრომები** 1-2 **საგანში,** **თუ** **ამის** **უფლებას** **მისცემს** **საწარმო** (დაწესებულება).

სტუდენტები, **რომელთაც** **სესიის** **დაწყებამდე** **არასაპატიო** **მიზეზით** **არ** **ექნებიათ** **ჩათვლილი** **საკონტროლო** (საკურსო) **შრომები** **სამ** **და** **მეტ** **საგანში,** **სესიაზე** **არ** **იქნებიან** **დაშვებულნი** **და** **გაირიცხებიან** **გაუფრთხილებლად,** **ასევე** **როგორც** **ის** **სტუდენტები,** **რომლებიც** **მომდევნო** **კურსზე** **გადაყვანილ** **იქნენ** **პირობით** **და** **სესიის** **დაწყებამდე** **სულ** **ცოტა** **ერთი** **კვირით** **ადრე** **ვერ** **დაფარეს** **დავალიანება,** **ვერც** **მოიპოვეს** **სესიაში** **მონაწილეობის** **უფლება.**

სწავლაში **ხელისშემშლელი** **მიზეზები** **სტუდენტმა** **უნდა** **აცნობოს** **ფაკულტეტის** **დეკანატს** (**დაზღვეული** **წერილით** **ან** **პირადად**) **სესიის** **დაწყებამდე.** **განცხადებას** **ამის** **თაობაზე** **თან** **უნდა** **ერთვოდეს** **განცხადებაში** **მოტანილი** **ფაქტების** **დამადასტურებელი** **საბუთიც.**

დაგვიანებით **წარმოდგენილი** (**ან** **გამოგზავნილი**) **განცხადებები** **და** **საბუთები,** **აგრეთვე** **შუამდგომლობები** **აკადემიური** **შვებულების** **მისაღებად,** **იმავე** **კურსზე** **დატოვების** **ან** **ხელის** **ვადის** **გაგრძელების** **თაობაზე** **მხედველობაში** **არ** **მიიღება.**

ამ პირი, **რომლებმაც** **თეორიული** **კურსი** **დაამთავრეს** 1976-78 **წლებში,** **მაგრამ** **დღემდე** **არ** **ჩაუბარებიათ** **სახელმწიფო** **გამოცდები** (**არ** **დაუცავთ** **სადიპლომო** **პროექტი,** **და** **სურთ** **სახელმწიფო** **გამოცდების** **ჩაბარება** (**სადიპლომო** **შრომების** **დაცვა**) 1979 **წელს,** **ამის** **შესახებ** **განცხადებით** **უნდა** **მიმართონ** **ინსტიტუტს** **მოცემული** **სპეციალობის** **დამამთავრებელი** **კურსის** **სესიის** **დაწყებამდე** 1-2 **კვირით** **ადრე.**

სატვირთო ავტომობილების მფლობელთა საყურადღებოდ!

სსრ კავშირის **ფინანსთა** **სამინისტროს,** **სახბანკის** **და** **ცენტრალური** **სტატისტიკური** **სამმართველოს** **მიერ** **დამტკიცებული** **ინსტრუქციის** **თანახმად,** 1979 **წლის** 1 **იანვრიდან** **საავტომობილო** **ტრანსპორტით** **ტვირთის** **საქალაქთაშორისო** **გადაზიდვა** **შეიძლება** **შესრულდეს** **მხოლოდ** **იმ** **შემთხვევაში,** **თუ** **ავტომობილის** **მძღოლს,** **მისი** **საოწყებო** **დაქვემდებარების** **დამოუკიდებლად,** **ექნება** **საქართველოს** **სსრ** **საავტომობილო** **ტრანსპორტის** **სამინისტროს** **მიერ** **დამზადებული** **ფორმა** 4-**მ** **სპეციალური** **საქალაქთაშორისო** **საგზური.**

საქალაქთაშორისო **საგზურის** **ბლანკების** **მისაღებად** **საჭიროა** **მიმართოთ** **სამინისტროს** **იმ** **სატვირთო** **ავტოსადგურებს** **ან** **ავტოსატრანსპორტო** **საწარმოებს,** **რომლებიც** **განლაგებულია** **თქვენს** **ქალაქში** **ან** **რაიონულ** **ცენტრში.**

ცნობების **მიღება** **შეგიძლიათ** **შემდეგი** **მისამართით:** **თბილისი,** **პავლოვის** 12. **ტელ.** 36-34-52.

„**საქავგოგრანი**“.

ტელევიზია

26 დეკემბერი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შევიწყავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეექვსე ცდა“ (თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი), 19.00 — სპორტული პროგრამა (ფერადი), 21.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი ოლქის პარტიული კონფერენცია (სპეციალური გამოშვება), 22.55 — თეატრალური ფოსტა.

მეორე პროგრამით

18.00 — მასწავლებლის საათი — ალგებრა (ფერადი), 18.45 — განცხადებები, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — რუსული სკოლების მეცხრეკლასელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 19.45 — ფერადი მხატვრული ფილმი „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“. (მეორე სერია), 21.05 — ვერნისაჟი.

რადიო

27 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ანგაგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — აშინდის ბიულეტენი, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.37 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ლ. შავერზაშვილი. ვოკალური ტრიპტიხი „დიალოგი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.10 — რ. გლიერი. სიმფონიური მუსიკა, 11.40 — „პარტიულ კონფერენციებზე“, 12.15 — საფორტეპიანო პიესები, 12.25 — „პიუროს უპირველეს ყოვლისა“ — მ. გელოვანის ლექსები, 12.30 — „ქართული მუსუაქი“. მუსიკა, 13.40 — ა. პახმუტოვა. სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ლ. ავალიანი — „ახალი ჰორიზონტები“ (გაგრძელება), 14.20 — რ. გაბიჩვაძე. „რუსტაკის სიმფონია“, 17.15 — დ. არაყიშვილი, ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ნაწყვეტები. 17.40 — ყველაზე ბატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“. 18.10 — „ბელოდია, რიტმი, ჯანწყობილება“. კონცერტი. 19.00 — აფსუნი პოეტების ლექსები; 19.15 — ფ. შუბერტი. ხუთი მინუეტი, 19.40 — „ერთიანნ, ძმურ ოჯახში“. ბელორუსიის სსრ და ბელორუსიის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისადისათვის. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. აქსენოვის ჯამოსვლა (მოსკოვიდან), 20.30 — რადიოჟურნალი „ობილისი-ბაქო-ერევანი“. ობილისიდან ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების რადიომსმენელთათვის, 21.00 — „ძალისპირული“. 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „წელი ოორსსახსოვარი“, 21.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 22.00 — ვ. ლორთქიფანიძე. „მოგზაური“ რადიოდადგმა, 23.30 — მეორის ზ. სოტკილავა, 23.55 — უკანასკნელი ინობები.

თეატრი

26 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის **სახელობის** **ოპერისა** **და** **ბალეტის** **სახელმწიფო** **აკადემიური** — **ხალხური** **სიმღერისა** **და** **ცეკვის** **სახელმწიფო** **დამსახურებული** **ანსამბლის** **კონცერტი;** **კ.** **მარჯანიშვილის** **სახელობის** **სახელმწიფო** **აკადემიური** — **ეზოში** **ავი** **ძაღლია;** **ვ.** **აბაშიძის** **სახელობის** **მუსიკალური** **კომედიის** — **მე,** **ცოლი** **და** **სიდედრი;** **მეტეხის** **თეატრი** — **ქართული** **ნოველების** **საღამო.**

სპორტული მოამბე

დღეს მკითხველს ვთავაზობთ

- ▲ ქართველ მოჰაღრაკე ქალთა კიდევ ერთი გამარჯვება;
- ▲ საკავშირო პირველობა ჰაღრაკში ფინიშის ხორაზეა;
- ▲ „დინამოელ“ ფეხბურთელთა ძნელი, მაგრამ საინტერესო სეზონი.

ნინო და ნანა — ახალი მოიერიშეები

მსოფლიოს პირველობის ზონალურმა ტურნირმა ფრუნზეში, რომელსაც საზონათაშორისო ასპარეზობის 5 პრეტენდენტი უნდა შეერჩია, დიდი წარმატება მოუტანა ქართველ ოსტატებს ნინო გურიელსა და ნანა იოსელიანს.

ნინო გურიელი, საყოველთაო აზრით, ფრუნზეში ყველაზე უკეთ თამაშობდა. აი შეჯიბრების მთავარი არბიტრის, დიდოსტატ კირა ზეორიკინას (მინსკი) აზრი ნინოს შესახებ:

— **ნინოს თამაშის მანერა ძალიან უსიამოვნოა მეტოქეებისათვის.** იგი ხუთი **საათის** **მანძილზე** **მოწინააღმდეგეს** **დიდ** **დაძაბულობაში** **ამყოფებს,** **გურიელი** **თამამად** **სწირავს** **პიეკებს** **და** **ფიგურებს,** **რომელთა** **შედეგების** **გამოთვლა** **წინასწარ** **შეუძლებელია.** **ნინო** **საბოლოოდ** **ყოველთვის** **აღწევს** **მიზანს** — **მეტოქეები** **ვერ** **ერკვევიან** **გართულებებში.** **როდესაც** „**არეულობა**“ **იწყება,** **ქარიფელი** **მოკვადრაკე** **ზუსტი** **და** **ენერგიული** **თამამით** **აღწევს** **წარმატებას.**

ნინო **გურიელი** **15** **თამაშიდან** **11** **ქულით** **პირველ** **ადგილზე** **გამოვიდა.**

უდავოდ **დიამსახურეს** **თავიანთი** **დიდი** **წარმატება** **დიდოსტატებმა** **ლიტინსკაიამ** (**ლვოვი**) **მეორე** **ადგილი** 10,5 **ქულით,** **მოსკოველმა** **ტატიანა** **ზატულოვსკაიამ** **და** **ტალინელმა** **საერთაშორისო** **ოსტატმა** **მაია** **რანიკუმ** (**მესამეოთხე** **ადგილები** 10 **ქულით**). 9,5 **ქულით** **სპატიო** **მეხუთე** **ადგილზე** **გამოვიდა** **ოსტატი** **ნანა** **იოსელიანი.**

— **მისი** **წარმატება** **სრულიად** **დამსახურებულია.** **სტარტზე** **გაცდილი** **დამარცხებების** **შემდეგ** **ნანამ** **სწრაფად** **აღიდგინა** **ფორმა** **და** **მომდევნო** **შეხვედრებში** **მშვენიერი** **შთაბეჭდილება** **დატოვა,** — **თქვა** **ზეორიკინამ.**

მან **ასევე,** **გამოკლინდა** **საზონათაშორისო** **ტურნირის** **ხუთი** **მონაწილე.** **ეს** **ასპარეზობა** **ზაფხულში** **ბრაზილიაში** **გაიმართება.**

სურათებზე: **ნინო** **გურიელი** **და** **ნანა** **იოსელიანი.**

ა. **კოტორაშვილის** **ფოტო.**

წინაა მ. ტალი

თბილისში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის XV ტურში **ყურადღების** **ცენტრში** **იყო** ბელიავსკი - ტალისა და გულკოცემკოვსკის **პარტიები.** **მათ** **შედეგს** **დიდი** **მნიშვნელობა** **ჰქონდა** **ჩემპიონობისათვის** **ბრძოლაში.** ტალსა და ცეშკოვსკის ტურის **დაწყების** **წინ** **თანაბარი** **შესაძლებლობები** **ჰქონდათ,** **ტურის** **შემდეგ** **კი...**

ბელიავსკიმ **თეორიებით** **ლაზიერის** **გამბიტში** **უკეთესი** **პერსპექტივები** **მიიღო** **ტალთან.** **მან** **ფიგურა** **მოიგო** **სამ** **პაიკში,** **მაგრამ** **მისი** **პირდაპირი** **იერიშიდან** **არაფერი** **გამოვიდა.** **ტალს** **დაკარგულ** **ფიგურაში** **ხუთი(!)** **პაიკი** **აქვს.**

ამასობაში **რიგელის** **ძირითადი** **კონკურენტი** **ცეშკოვსკი** **გასაპირში** **აღმოჩნდა.** **გრიუნფელდის** **დაცვაში** **ცეშკოვსკიმ** **მძიმე** **პოზიცია** **მიიღო,** **შემდეგში** **ვეღარ** **შეძლო** **მდგომარეობის** **გამოსწორება** **და** **წაგო.**

მეთექვსმეტე **ტურში** **ცეშკოვსკიმ** **ჩინებულად** **წარმართა** **შეხვედრა** **კასპაროვთან.** **მან** **მატერიალური** **უპირატესობა** **მიიღო** **და** **აიძულა** **ჭაბუკი** **ოსტატი** **შეეწყვიტა** **წინააღმდეგობა.** **ტალი-გულკო,** **ველერი-ბელიავსკი,** **მაკარიჩევი-გიორგაძე,** **პოლუგაევსკი-ტიმოშჩენკო** . **და** **სვეშნიკოვი-მიხალჩენი** **ყაიმზე** **შეთანხმდნენ.** **დანარჩენი** **პარტიები** **გადადო.**

გუშინ **დამთავრდა** **გადადებული** **პარტიები.** **ბელიავსკი** **თამაშის** **განუახლებლად** **დანებდა** **ტალს,** **ფორფმანი** — **რომანოშინს,** **პოლუგაევსკიმ** **დაამარცხა** **კუზმინი.** **ბაგიროვ-რაზუვაევი** **და** **ტუკმაკოვ-კუზმინი** **ყაიმზე** **შეთანხმდნენ.**

ამრიგად **დღევანდელი** **ბოლო,** **მეჩვიდმეტე** **ტურის** **წინ** **ტალს** 10,5 **ქულა** **აქვს,** **ცეშკოვსკის** — 10 **ქულა,** **პოლუგაევსკის** — 9,5 **გიორგაძესა** **და** **რომანოშინს** — 9-9 **ქულა** **თვითეულს.**

პირველი წრე დამთავრდა

მინსკის **შემდეგ** **საკავშირო** **ჩემპიონატის** **პირველი** **წრის** **შეხვედრები** **დამთავრდა** **ტალინის** **ქვეყნგუფშიც,** **სადაც** **თბილისის** „**დინამო**“ **მონაწილეობდა.** **უნდა** **აღინიშნოს,** **რომ** **ესტონელთა** **დედაქალაქს** **ქართველი** **ალპინისტების** **რამდენად** **მე** **შესუსტებული** **შემადგენლობით** **ესტუმრნენ.** **დინამოელებმა** **ხუთი** **შეხვედრიდან** **სამი** **მოიგეს** **და** **ორში** **დამარცხდნენ.** **მეოთხე** **ტურში** **მათ** **დაამარცხეს** **რიგის** **ვეფი** — 85:81, **ხოლო** **მეხუთე** **ტურში** **წააგეს** **მოსკოველ** **არმიელებთან** — 60:97.

ახლა **პირველობის** **მონაწილეთორმეტეული** **გუნდი** **4** **იანვარს** **რიგაში** **შეიკრიბება.**

მანამდე **კი** **ჩემპიონატის** **საბურნირო** **მდგომარეობა** **ასეთია:**

	Თ.	მ.	ფ.	ქ.
ცსკა	5	5	0	10
„დინამო“ (მ.)	5	4	1	9
„სტატიბა“	5	4	1	9
„სტროიტელი“	5	3	2	8
„დინამო“ (თბ.)	5	3	2	8
ვეფი	5	2	3	7
„კალევი“	5	2	3	7
„სპარტაკი“ (ლ.)	5	2	3	7
რტი	5	2	3	7
სკა	5	1	4	6
„ელექტრონისი“	5	0	5	5
„სპარტაკი“ (ვლ.)				

თბილისური ფეხბურთი

ᲨᲢᲠᲘᲮᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ, 18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲤᲮᲘᲚᲝ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲫᲔᲕᲜᲘᲗᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“

— 1978 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲐᲗ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲝᲠᲯᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲡ.

ᲜᲐᲞᲝᲚᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲮᲚᲐᲩᲐᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ. ᲛᲔᲠᲛᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲣᲖᲘᲙᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲘᲗᲘ „ᲙᲘᲓᲔᲚᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ. ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ, ᲘᲒᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲛᲘᲣᲖᲘᲙᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲯᲔᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲖᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ „ᲙᲘᲓᲔᲚᲘ“. ᲔᲡ ᲣᲛᲐᲒᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲘᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

„Ნ